

პოლიტიკური რეჟიმების ტრანზიციის სტრატეგიები: ზემოდან ქვემოთ (Top Down) და ქვემოდან ზემოთ (Bottom Up)  
(Case Study: ჩილე, ვენესუელა)

ლია ტვილდიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები, ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები, საბჭოთა კვლევები)  
მიმართულება: საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2019

## განაცხადი

*”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”*

ლია ტვილდიანი

26.06.2019

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი თეორიულ და ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით იკვლევს ტრანზიციის სტრატეგიებს სამხრეთ ამერიკის ორ ქვეყანაში, ჩილესა და ვენესუელაში, ასევე მათ გამოიწვევ ენდოგენურ და ეგზოგენურ ფაქტორებს. აღნიშნულის საკვლევად, ჩილეს შემთხვევაში განხილულია მმართველობის სამი ეპოქა: სალვადორ ალიენდეს მმართველობა, პინოჩეტის პერიოდი და ჩილე მის შემდგომ. რაც შეეხება ვენესუელას, ამ შემთხვევაში ნაკვლევია უგო ჩავესის ეპოქა, მადუროს მმართველობა და მიმდინარე პოლიტიკური კრიზისი. აღნიშნული პოლიტიკური ეპოქები შეირჩა იმ ნიშნით, რომ ჩილეს განვითარებაში გარდამტეხი მოვლენები სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება, რის შედეგადაც ქვეყანა მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოთა რიგებში ჩაეწერა. რაც შეეხება ვენესუელას, იგი სწორედ ახლა გადის მსგავს გზას დემოკრატიულობისკენ. შესაბამისად, ამ ორი ქვეყნის შემთხვევაში აღნიშნული ეპოქების შერჩევა მიზანმიმართულია მათ შორის პარალელების გავლებაზე და ჩილეს გამოცდილებაზე დაყრდნობით, გარკვეულწილად, ვენესუელას სამომავლო პოლიტიკური სცენარების პროგნოზირებაზე.

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ კი სამაგიდო კვლევა (Desk Research) პირველადი და მეორადი წყაროების ანალიზისთვის, შემთხვევის ანალიზი (Case-Study) და საერთაშორისო მედიის დისკურს ანალიზი, ვენესუელაში მიმდინარე პროცესების სრულყოფილი წარმოჩენისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ კვლევაში აღწერილია კონკრეტული ისტორიული განვითარება თითოეულ ქეისის შემთხვევაში ასევე ფართოდ გამოიყენება პროცესზე დაკვირვების მეთოდი (Process Tracing Method) და შედარებითი კონტენტ-ანალიზი, ჩილესა და ვენესუელას პროცესებს შორის მსგავსებებისა და განსხვავებების იდენტიფიცირებისთვის.

კვლევა ეყრდნობა ტრანზიციის თეორიებს, რომლებიც განიხილავენ ქვეყნებში პოლიტიკური რეჟიმების გარდამავლობის სახეებს და გამოყოფენ სამი სახის სტრატეგიას: ტრანზიციის ზემოდან (Top Down), ტრანზიციის ქვემოდან (Bottom Up) და ტრანზიციის შუალედურ ფორმას (Intermediate Category). სწორედ ეს მოდელებია განხილული

წინამდებარე ნაშრომში და მათზე მისადაგებულია ჩილესა და ვენესუელას ქეისები, თითოეული ტრანზიციის პროცესში.

კვლევის შედეგად დაგინდა, რომ ორივე ქვეყნის პროცესებში მთავარი საგარეო ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს პროცესებზე არის საერთაშორისო წნეხი, განსაკუთრებით აშშ-სა და სხვა დასავლური სახელმწიფოების მხრიდან წამოსული. საშინაო ფაქტორი კი ის ეკონომიკური და ჰუმანიტარული კრიზისი, რომელსაც იწვევს ხელისუფლების მიერ წარმოებული არასწორი პოლიტიკა, მათ შორის ეკონომიკური, ფისკალური, რეპრესიული მმართველობა და ა.შ.. საბოლოოდ კი ნაშრომში გამოკვეთილია ვენესუელაში პროცესების განვითარების ხუთი სცენარი მიმდინარე პერიოდში არსებული რეალობიდან გამომდინარე.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ვენესუელა, ჩილე, ტრანზიციის თეორიები, ტრანზიციის სტრატეგიები: Bottom Up, Top Down, Intermediate Category, ენდოგენური ფაქტორები, ეგზოგენური ფაქტორები.

## Abstract

Present research by testing theoretical and empirical data explores transition strategies in two countries of South America, in Venezuela and Chile, also internal and external factors which cause transition in these countries. For valid analyze in case of Chile is explored three epochs of governance, administration of Salvador Allende, The Pinochet period and Chile after his governance. As for Venezuela, in this case is discussed the Hugo Chavez epoch, the administration of Nicolas Maduro and the ongoing political crisis. Maintained political epochs were selected, as the crucial moments of Chile's development happened in this period, after which Chile is among the most successful countries of the world and region. As for Venezuela, it is now going through a similar path to democracy. Consequently, the selection of these epochs of these two countries intentionally aimed to discover parallels between these two cases and according to experience of Chile, to somehow predict Venezuela's future development scenarios.

Methodologically study is qualitative one, in research is used Desk Research for analyzing of Primary and Secondary Sources, Case -Study and Discourse analysis of International Media, which is priceless for the complete representation of ongoing processes in Venezuela. As well as Process tracing method and comparative content analysis for identification of similarities and differences between Chile and Venezuela's cases in different time period.

The research is based on the theories of transition that deal with the transition of political regimes in the countries and describes three types of strategies: transition from above (Top Down), from below (Bottom Up) and intermediate category of transition. These models are explored in the present work and Chile and Venezuela's cases are adopted to them in each transition process.

The research found out that the main foreign factor in the process of both countries affecting on the transition process is the international pressure, especially from the USA and other western influential states. The domestic factor is the economic and humanitarian crisis caused by the government's incorrect economic and fiscal policy and repressive reforms. Finally, in the work, based on current reality, is discussed five scenarios of development processes in Venezuela.

**Keywords:** Venezuela, Chile, transition theories, transition strategies: Bottom Up, Top Down, Intermediate Category, internal and external factors.